



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ბარტდინსკი იპოლიტ

ბარტდინსკი იპოლიტ, XIX ს., 30-40-იანი წწ. რუსი პოეტი, მთარგმნელი.

1841-45 თეთრი ლექსით თარგმნა ვეფხისტყაოსნის 142 სტროფი. ეს არის რუსთაველის პოემის უადრესი თარგმანი. გამოქვეყნდა 1845 პეტერბ. ჟურნ. „ილლიუსტრაციაში“ (№ 6, 7) სათაურით „ტარიელ-ბარსოვა კოჟა“. ვეფხისტყაოსანს ბ. გასცნობია პეტერბურგში მყოფი ქართვე. პოეტის გრიგოლ დადიანის (კოლხიდელის) დახმარებით, ხოლო თარგმნისას უსარგებლია დავით ჩუბინაშვილის პნკარედით.

ლიტ.: ა ნ დ ლ უ ლ ა ძ ე ლ., ვეფხისტყაოსნის რევოლუციამდელი რუსი მთარგმნელები, კრ.: ძველი ქართული მწერლობის საკითხები, [ტ.] 3, თბ., 1968.

ლ. ანდლუაძე
